20.08.2019

# ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

(2019 წლის ივლისი)

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 2.8 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასების 1.8 პროცენტიანი, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე 9.1 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 8.9 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 11.3 პროცენტით, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე 6.7 პროცენტით. ფასები 1.4 პროცენტით შემცირდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის ივლისში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2018 წლის ივლისი | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **108.9** | **8.87** |
| **C** | **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **106.7** | **0.30** |
| **D** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **111.3** | **8.74** |
| DA | კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი | 112.0 | 4.18 |
| **E** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **98.6** | **-0.17** |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.08.2019

## ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)




საკონტაქტო პირი:
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge